

1936

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

# ოქტომბრული



1936

№7

# „თეატრეზილი“

სამ. ა. ლ. კ. კ. ცეკასა და სამ. ბანასხკო-  
ვის ერთობიანი ორგანო

№ 7  
ივლისი 1936 წ.  
წელიწადი 34-10

სამ. კ. კ. (ბ) ც. კ-ის გამ. „კომუნისტი“-  
რედაქციის მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 34,  
ტელ. № 3-02-61

## შ ი ნ ა რ ს ი

1. ლაზღანდარა (ლექსი) — ი. გრიშაშვილისა . . . . .	83
2. ლიმონა — ი. ახნაზაროვისა . . . . .	1
3. ქარხანაში (ლექსი) — სანდრო შანშიაშვილისა . . . . .	2
4. პატარა ოსტატები — გ. კალანდაძისა . . . . .	3
5. წერილი არახლოელ გამიდას (ლექსი) — ს. ჟღენტსა . . . . .	4
6. ბოტანიკურ ბაღში — თამარ ოქროშიძისა . . . . .	6
7. გაძევებული ქოტი — გაბრიელ გოგუაძისა . . . . .	7
8. ზღვის ფსკერზე — ნ. გოგუაძისა . . . . .	9
9. ამხანაგები — ნ. ტყეშელაშვილისა . . . . .	11
10. მეგობრები (ზღაპარი) — ნ. ლორთქიფანიძისა . . . . .	11
11. იყო და არა იყო რა — ლ. მებრეველისა . . . . .	12
12. მდიდარი მათხოვარი — გ. ლომთათიძისა . . . . .	13
	15
	16

## გ ა ს ა რ თ ო ბ ი

13. ნაკვეთები . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
14. გამოცანა — შ. თაბუკაშვილისა . . . . .	გარეკანის მე-3 გვ.
15. ამოცანა — ივ. მაჭავარიანისა . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.
16. რა შწერია — აღ. საჩინოელისა . . . . .	გარეკანის მე-4 გვ.

ქურნალი გაფორმებულია მხ. ი. ქოქიაშვილის, დ. ნაცვლიშვილის  
და მ. თარიშვილის მიერ.



ი. ბ რ ი შ ა შ ვ ი ლ ი

განა ასე შეიძლება?  
არა სწყალობ სკოლის კარებს,  
ქუჩა-ქუჩა დაყილობ,  
თავს უყადრებ ლაზღანდარებს!

მამაშენი, გამიგია,  
მუშა იყო, კარგი მუშა.  
მისი საქმე სასახელო  
უნდა დარჩეს დღეს ნიმუშად.

მუდმივ დარდს და მუდმივ  
შრომას  
გადააკლა მამამ თავი,  
ვერ მოესწრო ნეტარებას,  
ისე მოკვდა საცოდავი.

შენ კი, იმის ძეს და პირმშოს,  
ეს ამბავი არ გამწარებს.  
ქუჩა-ქუჩა დაყილობ,  
თავს უყადრებ ლაზღანდარებს!

ბიჭო! ნიჭი რომ არ გქონდეს,  
არ გკადრებდი არაფერსა,  
ნუ ატირებ შინ მოკვარეს,  
ნუ აცინებ გარეთ მტერსა...

მეზადე რომ ხილს მოისთვლის  
მოსაკრეფად, მოსაწყვეტად,  
პატარა ხეს, პატარა ნერგს  
უფრ თხილდება უფრო მეტად.

შენც ნერგი ხარ, მოვლა გინდა,  
რომ არ გახდე უღლეური...  
გაიგონე ჩემი რჩევა,  
გაიბერტყე, ბიჭო, ყური.

თორემ რასაც დღეს დაჰკარგავ,  
ვერ აღადგენ იმას მერე.  
დაიხსომე ჩემი ლექსი,  
გულის კოვზზე დაიწერე!





# ლიმონა



საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

## ა. ახნაზაროვი

ამ ოციოდე წლის წინათ ჩვენს დედაქალაქში ერთი ადამიანიც არ მოიძებნებოდა, რომ ლიმონის სახელი და ენაობა არა სკადნოდა.

ლიმონა მეტი სახელი იყო, ალბათ, იმერომ დარქმეული, რომ ვისაც ამ სახელს ეძახდნენ, ლიმონითა და ფორთოხლით ეპკობდა. ნამდვილად კი ლიმონას სიმონა ერქვა და მკვდელ მისაშვილის შვილი იყო. ლიმონა ხუთი წლიდანვე მამით დაობდა და მისი დედა, საბედა, რომელიც სეიდაბადის ერთ ვიწრო ქუჩაში ცხოვრობდა და პაწია, ფილაქანდაფენილი ოთახი ეჭირა, ისე დაქვრივდა, რომ ერთის ღამის ვახშიმიც არ დარჩენია. სიღარიბის გამო იძულებული იყო აქა-იქ სარეცხი ერეცხა, რომ თავისი პატარა ბიჭიკო გამოეკვება. მუზობლები საბედლას გათხოვებას ურჩევდნენ, რადგან ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო, მაგრამ საბრალომ იმდენი სიმწარე და ნაღველი გამოაირა თავის მოქციფე ქმრის ხელში, რომ გათხოვებაზე მტკიცე უარს ამბობდა. ირირაყებდა თუ არა, საბედა ფეხზე იდგა, თავის პაწია ბავშვს გადახდილ საბანს გაუსწორებდა, მძინარეს მუზობლებს ჩააბარებდა, თავზე შალს მოიგდებდა და გარბოდა სხვათა ოჯახში სარეცხის დასარეცხად. მისი საშოვარი და შრომის საფასური დღეში სამი აბაზი იყო, რაც იმის ობლის გამო მოკვებასა და ბინის ქირას — თვეში ორ მანეთს — ძლივს ასდიოდა.

დედის შინ არყოფნის დროს გამოიღვიძებდა ხოლმე პაწია სიმონა, ჩაიკვამდა თავის დაკონკლილს და დაკერებულ ხალათს, შარვაღსა და ჩუსტებს, რომელსაც წვერები ისე ჰქონდა მოკვეთილი, რომ შინელი თითებსაც ვერ უფარავდა; დააგლებდა ხელს შავ, გამხმარ პურის ყუას და გამოვიდოდა უბნის ბიჭებში ლაბტობანისა და კიქის სათამაშოდ. ბავშვი დედას არა კითხულობდა, რადგან იცოდა, რომ იმისი დედა

სადმე სარეცხს რეცხავდა და შინ არ დაბრუნდებოდა, ვიდრე კარვად არ დაბინდებოდა.

სიმონამ ასე გაატარა თავისი ცხოვრება თორმეტ წლამდე. მთელ დღეს ბიჭებში ატარებდა, ხოლო თუ დედამისი შინ იყო, ან იმას გაეგზავნებოდა სადმე და ან, როცა დედა სარეცხს სახლში რეცხავდა და ეზოში თოკებზე გაფენდა, ალყაფის კარებთან ქვაზე იჯდა და თვალყურს ადევნებდა, რომ სარეცხი არავის მოეპარა. სიმონა თორმეტი წლისა ისე შეიქმნა, რომ სკოლის კარები არ უნახავს. თუმცა ხარფუხის ბერძნების ეკლესიასთან სამრევლო სკოლა იყო დაარსებული, სადაც საბედლას მუზობლების შვილები დადიოდნენ წერა-კითხვის სასწავლებლად, მაგრამ ესეთ ბედნიერებას სიმონას ვინ აღირსებდა! ბავშვი დიდად მოწადინებული იყო წიგნი შეესწავლა, სწუროდა სკოლაში მზანაგებთან თამაშობა და შურით გადაეწეებდა ხოლმე თვალს თავის უბნის ნაცნობ ბიჭებს, რომლებიც მხარზე ირიბად გადაკიდებული აბჯებით დილით სამრევლო სკოლისაკენ მიცუნტულდებდნენ. საბედლას სად შეეძლო შვილის სკოლაში გაბარება, წიგნებისა და რვეულების ყიდვა, როდესაც ბებლები ცხელი წყლით ჰქონდა დათუთქული და სხვისი სარეცხის რეცხვისაგან გადახებილი და მაინც იმდენს ძლივს იღებდა, რომ თავისი შვილი შავი პურით გამოეკვება. საბედამ თორმეტი წლის ვაჟიშვილი შეგირდად მიიბარა ერთ ვაჭარს, რომელსაც იტალიიდან ყუთებით ლიმონი და ფორთოხალი მოსდიოდა. ეს ვაჭარი პატარა ბიჭებს დაწულს კალათებში ჩაუწყობდა ხოლმე ლიმონ-ფორთოხალს და ქუჩა-ქუჩა ატარებინებდა გასაყიდად. ამ ვაჭრისაგან მიღებული შეგირდანიით საბედა თავის შვილს ჩუსტებსა და სახალათეს უყიდდა ხოლმე.

აი, სწორედ ამ დღიდან დაერქვა სიმონას ლიმონა. ვიდრე იგი პატარა იყო, ვაჭარი დღე-

ში პურის ფულად სამ შაურს აძლევდა და კვირაში ერთ მანეთს შეგირდანას. ამ შეგირდანას ვაჭარი კოტ-კოტა უმატებდა ლიომნას წასახალისებლად, ასე რომ თხუთმეტი წლის ლიომნას უკვე კვირაში სამ მანეთს აძლევდა და, ამას გარდა, რამდენსავე დაბეგილ და ცალგვერდგაფუჭებულ ფორთოხალს გაატანდა ხოლმე შინ საჩუქრად. ასე წამოიზარდა ლიომნა. როცა თავის საქმეში უფრო გავარჯიშდა და დახელოვდა, შეგირდობას აღარ დათანხმდა, იმავე ვაჭარს ნისილ, ფასდაკლებით, ართმევდა ლიომნას და ფორთოხალს და საკუთარ ვაჭრობას აწარმოებდა. თუმცა ვაჭარი მანეთზე მხოლოდ სამ შაურს უკლებდა საქონელში, ლიომნა ისეთი ხერხით გადაარჩევდა ხოლმე მიღებულ საქონელს, რომ შაურიან ლიომნს ხშირად შვიდ და რვა კაპეიკად ჰყიდდა და ამით საკმაო მოგება რჩებოდა. დილიდანვე ორ დიდ კალათს ააფსებდა, ერთში ლიომნებს ჩააწყობდა, თხელ ქალღღებში სათუთად ვახეულის, მეორეში — ფორთოხალს, გაუყრიდა ხელებს და გაჰქონდა სავაჭროდ. მისი ჩვეულებრივი ბინა ძველი სემინარიის პირდაპირ იყო, პუშკინის ქუჩაზე, სადაც თლილ ქვაფენილზე დააწყობდა ხოლმე რიგზე თავის ორ კალათს და ასე ფეხზე ვაჭრობით დღეში რამდენსავე ას ლიომნას და ფორთოხალსა ჰყიდდა. ვისაც ნამდვილი მესინის ლიომნი და ფორთოხალი უნდოდა, ლიომნასათვის უნდა მიემართა. ეს მეტი სახელი უხდებოდა როგორც იმის ხელობას, იქ გარეგნობასაც, რადგან, როდესაც იგი წამოეყავა, მოხდენილსა და მიშხიდველ სახეზე მკრთალი მუქი ფერი გადაჰკრავდა და წერილად აყრილს ტანს კობტა ჩოხა-ახალუბი უმშვენებდა. უკვე ოცდამეორე წელში



გადაღვა ლიომნა და ისევე, როგორც ვთქვით, წერა-კითხვის უცოდინარი იყო. ამისდა მიუხედავად, თავის ვაჭრობის ანგარიშს კარგად უძღვებოდა. საანგარიშოდ მხოლოდ სამი ნიშანი ჰქონდა ატემებული — სწორედ ჩამოსმული ზახი, დაკლანილი და ბოლომოკაუჭებული და ბლითი, ე. ი. რგოლი, რომელსაც ნოლის ეძახიან. ამ ნიშნებითა ჰქონდა თავისი ოთახის კვდლები ცარკით აჭრებულნი. სწორე ზახი ნიშნავდა ერთეულს, დაკლანილი და ბოლომოკაუჭებული — ათეულს, ხოლო ბლითი — ასეულს. ამ ზახების შემწვობით აღრიცხავდა ხოლმე თავისი საქონლის რაოდენობას.

მენშევიკების დროს უცხოეთიდან საქონელი არ შემოდოდა, საქართველოში კი ლიომნა და მანდარინი არ მოყავდათ, სალიომნე და საფორთოხლე ადგილები ჰაობებით იყო დაფარული. ლიომნა დიდ გაჭირვებაში ჩავარდა და მზად იყო შენობებზე შავ მუშად დღეში ათ შაურად ემუშავა, მაგრამ ასეთი სამუშაო იშვითად მოიძებნებოდა. სამი წლის განმავლობაში საბედა და ლიომნა დიდად გაჭირვებულნი იყვნენ და ნახევრად მშვიერ ცხოვრებას ატარებდნენ.

(დასასრული იქნება)

## ქარხანაში

სანდრო შანშიაშვილი

ვინ ამოძრავებს ამ დაზგებს?  
 ღოხე არ შემოღვევია?  
 რამდენი ჩარხი ტრიალებს!  
 ზოგს თასმა გადახვევია!  
 ან ვინ ეწვევა ამ ქაბრაქს,  
 რა ძალას დაუძღვევია?  
 თუ კაცი ჩადის, რომ არ ჩანს?

ჩემთვის ეს საკვრველია!  
 — რაც ამოძრავებს, ემაწვილო,  
 დაუშრეტელი ღონეა,  
 ჯერ ორთქლით ვამუშავებდით,  
 ახლა კი ელექტრონია,  
 ქედავს და ხერხავს, კიდევ ქსოვს,  
 გონებას მოუგონია.





# პაპანა ოსტაბები

## ბ. კალანდაძე

გულისვარდი სულ პირველად დედამის-  
მა მიიყვანა საბავშვო ბაღში, მასწავლებელ-  
მა ქალმა ბავშვს დიდი ხნის ნაცნობი-  
ვით მიუღიერსა, სკოლის ოთახში შეი-  
ყვანა და მაგიდებზე დამსხდარ პატარებს  
გააცნო.

— ბავშვებო, აი, დღეს კიდევ ერთი  
ამხანაგი მოგვემატა, გულიყო გიგაური.  
მთელი წელიწადი თქვენთან ივლის, ობ-  
ტუნებს, ითამაშებს და ისწავლის. შემდეგ  
გულისვარდს მიუბრუნდა:

— შენ რას იტყვი, გულიყო, ხომ კარ-  
გი ბავშვები ყოფილან ჩვენს კლასში? გუ-  
ლისვარდი აბუზულ წიწილასავით იდგა,  
კრატა არ იყოს, რცხვენოდა, რომ ამდენი  
თვალი ახლა მხოლოდ მას უმზერდა  
მაგრამ მაინც მასწავლებელს უმზებდა და,  
თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

— რახან ასეა, მაშ დარჩი ჩვენთან, —  
უთხრა მასწავლებელმა.

ამის შემდეგ სამმა წელიწადმა გაიარა.  
გულისვარდი ახლა მეორე კლასის მოწა-  
ფეა. ბეჯითი ქალია. მასწავლებელმა მას  
ნიჭიერი გოგო დაარქვა და ახლა სახლ-  
შიც ამ სახელს ეძახიან.

— ბებო, ჩემო ბებო, — ძივარდება ხოლ-  
მე ბებიაშის გულისვარდი, როცა სკო-  
ლიდან დაბრუნდება, — ადექი, შე ქალო,  
სულ რომ მაგ ხელსაქმეს მისჯდომიხარ,  
მუშაობა და წიგნების კითხვა მეც კი მი-  
ყვარს, მაგრამ სულ კი არ ვმუშაობ.

მოდი, ლილის და ოთარიკოს დავუ-  
ძახოთ და კეკემალობია ვითამაშოთ.

— დამანებე თავი, შე ქინკა, მე შენი  
ჯინჯგალის თავი არა მაქვს, — ეუბნება  
დინჯად ბებია ასინეთი, მაგრამ გულის-  
ვარდი არ ეშვება.

ერთხელ, დასვენების დღეს, გულის-  
ვარდმა, ჩვეულებისამებრ, მზეს დაასწრო  
აღგომა, ხელპირი დაიბანა, ოქროსფერი  
თმა კობხად გადაივარცხნა და ფანჯარას-  
თან მდგარ თიხის ქოთანში ჩარგულ  
ყვავილებს მიუღიერსა. შემდეგ დიდას  
მიმართა, რომელიც საუზმეს ამზადებდა.

— დედიკო, ნემსი და ძაფი მათხოვე,  
თუ გიყვარდე, უარს ნუ მეტყვი.

— რად გინდა ნემსი და ძაფი, ჩემო  
ნიჭიერო გოგო?

— პარაშუტი უნდა შევკერო, აი ისე-  
თი, მასწავლებელმა რომ გვიჩვენა ბაღში,  
მაღალი კოშკი რომ იდგა და ქოლგასა-  
ვით გაშლილი ტილოთი რომ ხტებო-  
დნენ კოშკიდან. მე და ოთარიკომ გუშინ  
ერთმანეთს პირობა მივეციით: ის კოშკს  
ააკებს, მე პარაშუტს შევკერავ. ხვალ  
დილით ოთარიკო გამოვივლის და კოშ-  
კსაც და პარაშუტსაც სკოლაში წავი-  
ღებთ.

დედამ გაიღიმა:

— საქმის ხალხს დამიხედეთ. ნემსი და  
ძაფი ბებოს სთხოვე, მხოლოდ არ გააწ-  
ვალო.

გულისვარდი ახლა ბებოსთან გაიქცა.

— ბებო, ერთი ნემსი და ძაფი მათხოვე.

— რათ გინდა, გოგო?

— პარაშუტი უნდა შევეკრო, ბებო, პარაშუტი.

— რა არის, გოგო, პარაშუტი?

— პარაშუტი კი არა, პარაშუტი, მაღლიდან რომ ხტებიან.

ასინეთს, ცოტა არ იყოს, შეეშინდა.

— შენ უნდა გადმოხტე, გოგო!!

— არა, ბებო, ჯერ არა, მაგრამ რომ გავიზრდები, რატომაც არ გადმოვხტები?

ასინეთმა ნემსი და ძაფი მისცა. გულისხვარდმა თავისი პატარა კოლოფი გახსნა, იქიდან ტილოს ნაჭერი ამოიღო და ხელსაქმეს შეუდგა.

ლილი და ოთარიკო და-ძმანი არიან, ისინი გულისხვარდის მეზობლად ცხოვრობენ. კარგი მეზობლობა იციან ამ ბავშვებმა. ოთარიკო და გულისხვარდი დილით ყოველთვის ერთად მიდიან სკოლაში. ლილი კი ჯერ 5 წლისაა და სკოლაში არ დადის. ოთარიკომ გულისხვარდს პირობა მისცა პარაშუტის კოშკს დაემაზადებო. მართლაც, მთელი დასვენების დღე მუშაობდა: მოგროძო, თხელ ფიცრებს თლიდა და ერთმანეთზე აჭედებდა წვრილი ლურსმეებით. ლილიც გვერდით უდგა და თავისებურად ჩტოხებოდა ძმას: „კოსკი! კოსკი! პალასუტის კოსკი! მეც წამოვალ სკოლასი ქვალ“. ოთარიკო კი, საქმის კაცით, ხმას არ იღებდა, მუშაობდა.

მეორე დილით ოთარიკომ გულისხვარდს გამოუარა. საპარაშუტო კოშკი მხარზე გაედო და ძლივს მოჰქონდა.

— მოიცა, პარაშუტი მაღლა მოვაბათ და წაღებაში მეც მოგვხმარები, — უთხრა გულისხვარდმა. მოაბეს, შემდეგ კოშკს აქეთ-იქით მოჰქრდეს ხელი და სკოლისაკენ გაემართნენ.

ქალაქზე გადაჭიმული, მოასფალტებული ნაცრისფერი ქუჩა მზის სხივებზე თვალის მოშპრელად ბზინავდა.

მთელი სკოლა გააკვირვა პატარა მეგობრების ნამუშევარმა. მოწაფეები საპარაშუტო კოშკს გარს შემოეხვივნენ და აღარ სცილდებოდნენ.

— აი, ბავშვებო, — ეუბნებოდა მათ მასწავლებელი, — გულისხვარდი და ოთარიკო სწავლაშიაც ბეჯითები არიან და, ხომ ხედავთ, რა კარგი რამ გაუყეთებიათ. ესენი ჩვენი ჯგუფის პატარა ინჟინრები არიან.

სწავლა გათავდა. მოწაფეები სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. მასწავლებელმა გულისხვარდი და ოთარიკო ცოტახნით სკოლაში დატოვა. მოშიცადეთო — უთხრა და თვითონ ქუჩაში გავიდა. ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა და თან ფოტოგრაფი მოიყვანა.

— აი, ამ პატარა ოსტატებს სურათი უნდა გადაუღოთ თავიანთ კოშკთან ერთად, — უთხრა მასწავლებელმა ფოტოგრაფს.

— აბა, მოდით, აქეთ-იქით დაუდგქით, აი ასე, — გაასწორა ფოტოგრაფმა ბავშვები.

ოთარი სწორედ კოშკის სიმაღლე იყო, გულისხვარდი კი ცოტა უფრო პატარა. ფოტოგრაფმა სურათი გადაიღო.

— რად გინდათ, მასწავლებელო, ჩვენი სურათი? — ჰკითხა ოთარმა.

— მერე გაიკვთ, ახლა კი შინსკენ მოუსვით, არ დაგაგვიანდეთ.



ბავშვები გაიქცნენ. რამდენიმე დღის შემდეგ სკოლაში მართლაც დიდი ზეიმი იყო. მასწავლებელმა გაზეთი „მუშა“ მოიტანა, სადაც პატარა ოსტატების სურათი იყო მოთავსებული თავიანთ „კომპანთან ერთად.

გულისვარდის და ოთარიკოს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

სურათს ქვეშ ასეთი წარწერა ჰქონდა: „მე-15 შრომის სკოლის მე-2 კლასის

მოწაფეები, გულიკო თელია და ოთარიკო რამიშვილი, რომლებმაც დაამზადეს „მუშა“-ს რაშუტო კომისის მოდელი“.

შუაღლე იყო. გულისვარდი და ოთარიკო სკოლიდან შინისაკენ მიდიოდნენ, ხელით გაზეთები და გულით გამოუთქმელი სიხარული მიჰქონდათ. ქალაქზე გადაკიმული მოასფალტებული ნაცრისფერი ქუჩა მხის სხივებზე ოდნავ ბრწყინავდა.



## ნაიღი აჩახლუა<sup>1)</sup> გაშიდას

სანდრო ჟღენტი

ჩვენ ერთმანეთს შეხვდით ისე, თითქოს გული მქონდა ბავშვის, თან ხელებით ვსაუბრობდით და ვუცქერდით მინდვრებს გაშლილს...

ოქტომბრელის სიხალისე და სიმკვირცხლე შენში ჩანდა, მეც ვინატრე ვგ ასაკი, წიგნები და სუფთა ჩანთა.

ვსაუბრობდით, შენი სახე გავდა უფრო ვარდის გაშლას, და ორივეს გვახარებდა გაზაფხულის მზე კაშკაშა.

შენ არ გახსოვს დღეთა რისხვა, ავთქება ხრამზე<sup>2)</sup> ხილის,

ბოლნისს<sup>3)</sup> იქით ტყეების წვიმა, სიმწარე და ნგრევა დიდი.

ნორჩი ხარ და ნორჩი გული ვერ აიტანს იმ ძველ ამბავს, ისწავლი და წიგნის სიტყვით ამოკრიფავ აზრს და ანბანს.

მჯერა, ახლაც კარგად სწავლობ, თან ანკესით თევზებს იჭერ... გწერ ბარათს და მომიკითხავ არახლუელ შენ ტოლ ბიჭებს.

თითქოს გული მქონდეს ბავშვის, თითქოს იყო ჩემთან ახლოს, მკვირცხლი ხმით და სიხალისით კიდევ მესმის „სანდა სალოლ“<sup>4)</sup>.

<sup>1)</sup> არახლუ — თათრების სოფელია ბორჩალოს რაიონში.

<sup>2)</sup> ხრამი — მდინარის სახელია.

<sup>3)</sup> ბოლნისი — სოფელია (ბოლნისი ორია: თათრების და სომხების).

<sup>4)</sup> სანდა სალოლ — თათრულად ნიშნავს „შენც მადლობა“.



## თამარ ოქროშიძე

(ჩემს პატარა მეგობრებს ქეთინო და მედიკო გიორ-  
გაძეებს)

— ბებო, შენი ქირიმე, დილით ადრე გაგვალვიძე, დალის და დეიდა ნუნუს უნდა გაუფაროთ ბოტანიკურ ბაღში წასასვლელად, — ეხვეწებოდნენ ქეთინო და მედიკო ბებოს დასვენების დღის წინა საღამოს.

— არ დაგავიწყდეს, ბებო, ძია ვანო კრებიდან რომ მოვა, უთხარი მაშინვე დაწვეს დასაძინებლად, თორემ დილით ადრე ვეღარ ადგება.

— კარგი, შევიღებო, კარგი, არ დამავიწყდება, — დააწყნარა ბავშვები ბებოამ, მედიკოს საღამური პერანგი გადააცვა და აბუმბულეზულ ლოგინში ჩააგორა.

ქეთინო დიდი გოგოა, ჩაცმისას და გახდისას უკვე აღარავინ ეხმარება, მედიკოს-კი ჯერ ისევ ბებო ან დედა ხდის და აწევს.

— ქეთინო, მურა არ წავიყვანოთ? ხომ მოსწყინდება უჩვენოდ!

— მე მგონი, საჭირო არ არის მურას წაყვანა. გახსოვს, ვერის ბაღში ვილაღ ძიას



რომ უკბინა? ეგ ისეთი ავია, კიდევ ვილაცხს უკბენს.

— დაიძინეთ, კმარა ლაპარაკი, — უთხრა ბავშვებს დედამ.

— მედიკო, ხვალ დილით მე გაგალვიძებ, — დაუძახა უძკროს დას ქეთინომ.

ელექტრობა ჩააქრო და საბანში გაეხვია. ხუთი წუთის შემდეგ ბავშვებს ტკილილ ეძინათ.

\*\*\*

კარგად გათენებული არ იყო, როცა მედიკომ თვალები გააჭყიტა.

— ქეთინო, ჩქარა ავდგეთ, გათენებულა! — შესძახა მედიკომ დაღის საწოლში ჩახტა.

— აკი იჩემებდი მე გაგალვიძებო! გეყოფა ძილი, თვალი გაახილო, თორემ მოვიდა ცივი წყალი! — არ ასვენებდა მედიკო ქეთინოს.

— დამანებეთავი, ჯერ ადრეა, — აწუწუნდა ქეთინო. მედიკომ საბანს ხელი სტაცა, საწოლიდან დაითრია და ოთახის მეორე კუთხეში გაიქცა.

— საბანს არ მოგცემ და თუ გინდა იწეკი პერანგისამარა. შეგცივდება და ადგები, აბა რას იხამ.

ამ ჩხუბში ქეთინო თანდათან გამოფხიზლდა და უცებ, თითქოს რაღაც მოაგონდაო, ტანისამოსს სტაცა ხელი.

— აბა ვინ მოასწრებს ჩაცმას! — დაიძახა მან. მედიკო თავის საბნინხად გამოქანდა, საბნის ყურს იატაკზე მოათრევდა, მაგრამ შეჯიბრების სურვილით გატაცებული ამას ვერ ამჩნევდა.

— რა ამბავში ხართ, ბავშვებო, — შემოვიდა ბებოა, — შევილო, საბანი ძაღლა ასწიე, ხუ ვაამტკვერიანე.

ბავშვები ფაცფუტით იცვამდნენ. მე-  
დიკომ შეამჩნია, რომ საქმე ცუდად იყო,  
ჩაცმას ვერ მოასწრებდა ქეთინოს, და ჩვეუ-  
ლებრივ ხერხს მიმართა.

— ბებო, ეს კაბა არ მინდა, შარვალი  
მომეცი, შარვლით წავალ! — გაქირვე-  
ულდა ის.

მედიკოს ძალიან უყვარდა ბიჭის ტა-  
ნისამოსით სიარული. მე ბიჭი ვარო. — ამ-  
ბობდა ხშირად შარვლის ჯიბეებში ხე-  
ლებჩაწყობილი. დღეს შარვლის ჩაცმას  
არ აპირებდა, მაგრამ დამარცხებულისა-  
თვის ერთადერთი გასამართლებელი „წუ-  
ნობა“ იყო.

— მე უკვე ჩაკეცი, მოგასწარი, — გა-  
მოიჭიმა წინ გამარჯვებულის პოზით ქე-  
თინო.

— შარვალი მინდოდა ჩამეცვა, თო-  
რემ შენ მომასწრებდი? — იმართლებდა  
მედიკო თავს.

ათი საათი იქნებოდა. ქეთინო და მე-  
დიკო ხელიხელჩაკიდებულნი არბოდნენ  
დღედა ნუნუს სახლის კიბეებზე, ვანოს  
ბავშვებისათვის საუზმე მოჰქონდა პატარა  
კალათით.

დალი კარგახანია ჩაცმული ელოდე-  
ბოდა შეგობრებს.

— რად დაიგვიანეთ, ბავშვებო? გული  
გადაშლია თქვენს ლოდინში! იცით, ჩვენ-  
თან ერთად დორა და მზია მოდიან, ჩვე-  
ნი მეზობლები, — აუხსნა მათ დალიმ.

— დეიდა ნუნუ მხად არის? — იკითხა  
კიბეებზე ამოსულმა ვანომ, — მაშ, მივდი-  
ვართ, დრო არის უკვე!

მშენიერი დილა იყო. ცა ბრწყინავ-  
და მზის უღვეველი სხივებით. გაზაფხუ-  
ლი ყველაფერს ემჩნევა, ფუნიკულიო-  
რის მთა ხომ ღია და მუქ მწვანე ფერებ-  
ში იყო ჩაფლული; მის გულზე ტრამ-  
ვის ორი ვაგონი მუხლუხოსავით მიცო-  
ცავდა.



ბავშვები შევლენივით მიხტორდნენ კო-  
ჯრის გზის აღმართებზე. მათი ფეხის  
ყოველ მიკარებაზე მთის ნაფშვენები ცვი-  
ოდა ძირს. მალე ბოტანიკური ბაღის  
ქიშკარიც გამოჩნდა.

—მედიკო, — დაუძახა ვანომ, — აბა, შენ,  
როგორც ბიჭი, გაიქეცი და ბილეთები  
აიღე ყველასათვის — მედიკომ ძია ვანოს  
ფული გამოართვა, სალაროსთან შიირ-  
ბინა და ბილეთები აიღო.

მიმზიდველი სანახაობა იშლებოდა  
ბავშვების თვალწინ: დაღმართის ბოლო-  
ში, ხევზე ძოაჯირიანი ხიდი იყო, ხიდის  
ქვეშ პატარა ღელე მოჩხრიალებდა. აყვა-  
ვებულ ბუჩქნარებს შუა, ვალმა კი მუვა-  
ნე ტყე იწყებოდა. აი იმ ტყისკენ დაემ-  
ვნენ გამალებით. ვანო და დედა ნუნუ  
უძახოდნენ მათ [ხელა იარეთო, მაგარამ


აღარცვრთს არ ესმოდა. მალე ბავშვებ-  
სულ მიეფარნენ პატარა გორა მანქანებს.  
— ძია ვანო, უუუ! — გაისმა მედიკოს და  
ქეთინოს ძახილი და აჰას საბავშო ბაღ-  
ში ნასწავლი ოქტომბრელების ხალისია.  
ნი სიმღერა მოჰყვა.

— ძია ვანო, დედა ნუნუ, აქეთ წამო-  
დით, ჩვენ აქ ვართ! — ბავშვებს ერთი დი-  
დი ხის ირგვლივ წრე გაეკეთებიათ და  
სიმღერით გარს უვლიდნენ:

ხეო, ხეო,  
რა გნახეო,  
რამ გაგხარა აგრე დიდი,  
შენთვის დგახარ, ფოთლებს არხვე  
და გვიამბობ ზღაპარს მშვიდი,  
წამო ჩვენთან, მოგვე ხელი,  
ერთად დიღზე არ მოწყინდი?

(დასასრული იქნება)

# ტექნიკური ჯოჯო



## გ ა შ რ ი ე ლ ბ ო ზ უ ა ქ ე

(დასასრული)

ფრთების ძლიერი მოქნივით მიმოფანტა მა-  
ლარიის ურიცხვი ლაშქარი და მოემზადა დასა-  
ძინებლად.

ეს კიდევ რაღა არის?

— რა-ა-ა-კ, რა-ა-ა-კ! — გააბა ვილაკამ უკან.

— ვინა ხარ, უზრდელი, შინ რომ მომიხტი  
და აღარ მიძინებ?

გამბორბტებით წამოიძახა ბაბუა ჯოჯომა,  
გააქეცა ცალი თვალი და დაინახა კაბაჭრელი  
და წითელქუდა ლაშაზი ჩიტი. ორი თითი წინ  
და ორი უკან. ჩაბლაუკებია ხმელ ტოტს და  
ფელის გარშემო, მაგარ ბოლოს იბიჯებს, რო-  
გორც ჯოჯოს, და ლურსმანივით ნისკარტით უჩა-  
ქუნებს, რაც ძალი და ღონე აქვს: — რა-ა-ა, რა-  
ა-ა-კ!

— არ გესმის, შე მიიძუნო მომსვენე მეთქი! —  
გაწიწმატდა ბაბუა ჯოჯო.

— კით-კით... დიდი ბოდიში შენს თავგასი-  
ვებულობასთან! შენ თუ კეთილი სული იყო,  
რა გაძინებს ამ შუადღეზე, რომ დაგიბრუცავს  
კატის თვალები? — მკვებელ შემოუტია კოდალამ:  
— შე ეშრომობ, ჯოჯო მატლებს ესაობ, ტყეს ვი-  
ცავ და შენისთანებს არ ვასვენებ.

არც კი იყო კოდალა გადაფრენილი სხვა ხეზე,  
რომ ჯოჯოს ახალი უსიამოვნება დაატყდა:

— წვიმ-წვიმ-წვიმ... ხიჭი-ხიჭი-ხიჭი! — წამოი-  
წყო რალც ჩიტმა იქვე გვერდით.

— წვიმა და მესი შენს თვალებში! — განრი-  
სხდა ბაბუა ჯოჯო, — ძალიან გენატრება, წვიმას  
რომ ეხვეწები და მაგ ხრინწიანი ხმით არ მაძინებ?

\*) დააწესის იბ. ჟურნალ „ოქტომბრელის“ № 6-ში.



— არ მეგონა, აქ თუ ბრძანდებოდი, თორემ როგორ გავმედავდი... ხიჭი-ხიჭი-ხიჭი! — შეუხით-ხითა გულფარდა და ზურგნაცარა ჩიტმა მათხა-ქუნამ და უჩქარა ცოცვას მუხის ტოტზე — აქეთ დაიქით, ზევით და ქვევით, თავყირა და თავაღმა.

— გამეცალე, აბეზარო, სანამ არ წავადრე მაგ წალესილი თავი! — დაღებუი ნისკარტით წიწწა ბაბუა ჯოტი და დააფრთხო ზუმარა მათხაქუნა.

კიდევ შეაწყვეტინეს საამო სიზმარი.

— ჯურ-ჯურ-ჯურ-ჯურ-ჯურ! — შორიდან მოაძახა ყვავის ოღენა შავმა კოდალამ, მიგებლაუქა და დაუნისკარტა, თანაც დააყოლა:

— ფი-ი-ე-ე! ფი-ი-ე-ე!

— ფუი შენ და მაგ სულელი თავის ტკივილი... შინ მომივიარდი და უდანაშაულოდ მლანძღავ, სად არის სამართალი? — აფუფხურდა ბაბუა ჯოტი.

— არ არის ფიე და ფუი თუ? არ გრძნობ მაგ მოკაუჭებულ ცვირში, რომ შშორი დაგიყენებია? ავერ, ტოტზე, ჯურღლის ყური, იქ — ჩხიკის ფრთა, ქვევით — ბაყაყის ფეხები და ვირთავგის კუდი... სამართალზედაც რომ ლაპარაკობს ეს მურტალი ბღენძი! — გაიოცა კოდალამ.

— ეგ რომ ჩამოგვისახლდა, მას შემდეგ გვენატრება სუფთა ჰაერი. . სული იხუთებთ ჩემს ციყუნებს, — ამოძახა ფულუროდან ღედა-ციყვი.

ერთ დილას საბედისწერო ალიაქოთი ატყდა მუხაზე.

წყვლი ყვავი წამოსკუბდა ბაბუა ჯოტის თავზე.

— ვა-ი, ვა-ი, ვა-ი! — გააღო ნისკარტი ერთმა.

— კუ-ლა-ა-კ, კუ-ლა-ა-კ! — ატყხა განგაში მერორემ.

იმწამვე გააღდა ფრთოსანთა მიტინგი: მოძმეთა ხმაზე მობარდლადნენ ყვავები და დააყენეს შემზარავი გოდება და ყაყინი. მოასკდნენ ანკი ქოჩორა ჩხიკები, გამართეს ფერხული დახლარითულ ტოტებში და აყრუებენ ყველაფერს ჩხავილა-ჩხავილით. წუხდნენ მსხვილისკარტა კულუმბურები, კნესოდნენ შორიასლოს მიმალული ფრთხილი შაშვები, წიოდნენ და ფაციფუცკოდნენ გრძელკუდა თაეშავები, ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ ბოლოქანქალები. ქექდნენ და ჩქარობდნენ კოდალები. სივრს უყურებდნენ წყნარი ბოლოცკეცლები.

კუ-ლა-ა-კ, კუ-ლა-ა-კ! — მეტის თავამოდებით განაგრძობდა ყვავი-პროკურორი მხილვას და ბრალდებას.

— უყურეთ ყვავებსა და ჩხიკებს, როგორ აღაღმართლებად მოაქვთ თავი! — ჩუბუნდნენ ზღენ წვიროფება ფრთოსნები.

— იმდენი კენესა მათ, რამდენი ღედა-ჩიტიც ატრემლობულა მაგათ მიერ აობრებულ ბუღებს! გაიტურნა ბაბუა ჯოტი, ყურები ჩაიკეცა, თვლები დახუჭა, გაიფუცა, თითქოს არ ესმის და მას არკვი ეხება ეს ვაი-ვაგლახი, თუმცა აშკარად ხედავდა კარზე მომდგარი უბედურებას და ძლივს იკავებდა ტანში შემეჯდარ ცახცახს!

— რისზეა და მეხი მტერს!

— შორს ჩვენგან სისხლის მსმელი!

— ერთსულოვნად დაეხოცოთ! — ცხარობდნენ ფრთოსნები.

— არიქა, თქვენი ჭირიმე, არიქა! ოღონდ ეგ წუბაკი მოგვაშორეთ და მერე ჩვენზე იყოს სუსხიან ზამთარში თქვენი პატრივისკემა წაბლით და რკოთი! — აქეზებდნენ ფულუროდან ციყვები და ძმარს ასხამდნენ დამწვარზე.

— ძმებო და დებო, მეც დიდი სიამოვნებით ვიხუმრებდი და გავფერთობოდი თქვენთან, ცოტა შეუძლოდ რომ არ ვიყო... გრიბი მჭირს წყეული, კხე-კხე-კხე, ჩახველა ბაბუა ჯოტმა, სინჯა სიტყვების ბანზე ავდება და საშინარი მდგომარეობის ზუმრობაში გატარება, თვალები გააკუიტა და ნაძალადეგად გაიღიმა.

— გრიბი და ვადურჩენელი ჭირი შენს თავს! — დასკვილეს ჩხიკებმა. დაიწყა შეტევა. აიშალნენ ყვავები, ჩხავილით და ვი-ვუით გააჩ ღეს ზემოთ ტრიალი, იქიდან რიგრიგობით იწყეს დაცემა პირდაპირ ბაბუა ჯოტის თავზე. ერთი თუ ორი, ერთი თუ ორი ჩაუნისკარტ-ჩაწიხლეს, ფრთებით შეფერთხ-მოფერთხეს. შემოდგომის ფოთლებივით აფორიქდა ჰაერში ბუმ-ბული, მოწყდა ადგილიდან და უგზოუკვლოდ გაექანა, საითცნაც ფრთებს მიჰქანდა.

ჩხავილით და საშინელი ალიაქოთით დაედვენენ ყვავები და ჩხიკვები, არ მოაკლეს კინწის-კრა და ჩანისკარტება.

— შორს გადაეარგეთ, შორს, და თქვენც თან გადაპყვეით, რომ უკან გზა ვეღარ ნახოთ! — მიაძახეს ჩიტებმა.

კმაყოფილი დაიშალა მიტინგი. მალე აწყრილდა მალა შირში ჩიტუნების „ბრიგადები“ და გზა დაიკავეს იქითკენ, სადაც ძვირფასი ნათეს-ნარგავებით დაიფარა ქვეყანა და სადაც მათ სიხარულით ხედებიან, როგორც მეურნეობაში დამსმარეებს.

იცი თუ არა, რამდენად ღრმაა ზღვა ან ოკეანე? აზიიდან აღმოსავლეთით, წყნარ ოკეანეში, იპოვნეს ისეთი ადგილი, რომლის სიღრმე 10.700 მეტრია. 5, 6, 7 კილ. სიღრმე ხომ ჩვეულებრივია.

არის თუ არა აი იმ თვალუწვდენელ ზღვის სიღრმეში რაიმე სიცოცხლე? შეუძლია თუ არა ადამიანს მისწვდეს ზღვის წიაღს? ჩვენ ვიცით, რომ მზის სხივი წყალში აღწევს არა უმეტეს ნახევარი კილომეტრისა, რის შემდეგაც იწყება წყვდიადი. წყლის სიღრმეში წნევა დიდია — სიღრმის ზრდასთან ერთად წნევაც იზრდება. როდესაც



საქართველში ხდება დაზიანებული გემის ფსკერის შეკეთება, წყალქვეშ უშვებენ მყვინთავს. დახედეთ, როგორი ტანსაცმელი აცვია: თავზე ახურაავს ბურთის მაგვარი ლითონის ქული, რომლის მილი ჰაერს უერთდება. ამ მილის საშუალებით მყვინთავი სუნთქავს. ამისთანა მოწყობილობით მყვინთავს შეუძლია ჩავიდეს წყალში 100 მეტრის სიღრმეზე. ყოფილა შემთხვევები, რომ ჩასულან 250 მეტრის სიღრმეზეც. მყვინთავს 50 მეტრის სიღრმეზედაც უჭირს გაძლება, მაშ როგორ შეიძლება იყოს სიცოცხლე იქ, სადაც მუდამ წყვდიადია და სადაც ისე ძლიერია წყლის წნევა?

გემიდან უშვებენ რამდენიმე კილომეტრის სიღრმე მავთულს. გემი მიცურავს, მავთულზე კი ბადება ცოცხალი არსებების დასაქერად. დახედეთ, როგორი უცნაური, უნახავი ცხოველები ესტუმრნენ ბადეს დიდი სიღრმიდან!

ამ პაწაწინა არსებების გარშემო ხომ ს. ბენლეა. მაშ როგორ შეუძლიათ მათ




არსებობა? ზოგიერთი მათგანის სხეულის ზედაპირიდან გამოსჭვივის სინათლე, ისე, ვით ზაფხულის ღამეში მოციმციმე ცინათელეებსაგან, თითქოს ეს პატარა



სანათურებია, რომლებიც საშუალებით თევზი ეძებს საკვებს.

აი კიდევ სხვაგვარი ცხოველები, რომლებიც დაიჭირეს ზღვის სიღრმეში — ზღვის კიბო, ზღვის ობობა ზღვის ვარსკვლავა და სხვ. არსებობენ ისინი მხოლოდ სასტიკი ბრძოლით, ერთიმეო-





რეზე ნადირობით. ზოგნი კი იკვებებიან მკვლარი ნაწილებით, რომლებიც წყლის ზემო ფენებიდან ცვივა. ძალიან ძველია არსებობა თვალმიუწვდენელ სიღრმეზე, მაგრამ სიცოცხლემ გადალახა ეს სიძველე. რაც უფრო დაბლა იწეოდნენ ცხოველები, მით უფრო იკვლავდნენ ისინი და ვგუებოდნენ გარემოს. წყლის ცხოველები უძლებენ წყლის წნევას, მაგრამ ნახეთ, რა მოუვიდა თევზს, რომელიც სწრაფად ამოიყვანეს წყლის მაღალ ფენებში: თევზი გაიბერა, დამახინჯდა და შემდეგ მოკვდა.



## პ მ ხ ა ნ ა გ ე ბ ი

ნინო ბუხუაშვილი

— ჰამ, ჰამ, სად დარბიხარ, შე ქურდო, შე არამზადავ! — შეუტია მურიკამ ციკუნიას. ციკუნია მოასწრო ხეზე შეხტომა. პირში შემწვარი პატარა ვარიკა ეჭირა.

— მიაუ, მიაუ, შე ბრიყვო მურიკა. კიდევ მიტევ? არ განსოვს, შენი ერთგულებისათვის რა ჯილდო მივიღე? ვერ დარწმუნდი, რომ შე უფრო ვუყვარვარ ჩვენს პატრონს?!

— მართალია, — გულდაწყვეტით დაუდასტურა მურიკამ.

— მაშინ რალაცა ქათმის ბარკლისთვის მთელი ეზო შესძარი, რა მოიგე? ერთი წიხლი მოგხედა გვერდში. თუ არ გინდა ის საჩუქარი მიიღო, გაჩუმი და შეინანიე შენი ცოდვები ჩემ წიხაზე.

— უკაცრავად, რა მაქვს შენთან საბოღიშო?

— თუ არა და მანდ ბრძანდებოდე. ციკუნია მადიანად შეეცქა შემწვარ ვარიკას. ხის ძირში მოდარაჯე მურიკას ნერწყვი მოსდიოდა პირში. გაძლა ციკუნია, თათი ჰკრა დარჩენილ შემწვარ ვარიკას და მურიკას წინ ჩამოაგდო. მურიკამ ველარ მოითმინა, პირი წაავლო და გამრიგლად შეახრამუნა. ციკუნია პირი მოიწმინდა, ულკაშები გაღიწკია და ეშმაკურად ჩამოხედა მურიკას.

— მიაუ-მიაუ! როგორ გუნებაზე ბრძანდები, მურიკავ? ჩვენ ახლა ამხანაგები ვართ: თუ დაგვიჭირეს, ორივეს ტუჩებზე ვარიკას ქოხი ბზინავს.

— ოჰ, შე არამზადავ, გამბარიყვე?

— ახლა გაჩუმი, პატრონი ვერას გაიგებს, დღეს დიდი წვეულება აქვს, მემწვარი ინდაურები, ქათმები და ბერი სხვა რამ აქვთ. მზარეული არ ეტყვის. ისინი ისე გართული იყვნენ თავის საქმეში, რომ ჩემკენ არ გამოუხედავთ. ახლა შენც სუ, მიც სუ, და ყველაფერი გათავდება.

— სული წაგძლევს, კიდევ ჩაიღენ მაგნიარ საქმეს და დაგიჭერენ.

— ეს შესაძლებელია, მაგრამ მე ვთხოვ პატრებას, პატრონი მაპატიებს.

— არ შეგერჩება, როცა იქნება და სადაც იქნება, დაგიჭერენ.

— მე ეს კარგად ვიცი. რა ვქნა, მივეჩვიე უქმად ყოფნას, ნებიერობას და თავს ვერ ვიპერ.

— ჯანდაბას შენი თავი, თუ არ გინდა გონს მოხვიდე. მე კი თავი დამანებე. შენ შენთვის, მე ჩემთვის! რად მინდა ქურდი და მსუნაგი ამხანაგი?! — თქვა მურიკამ და ციკუნიას მოშორდა.



(ზღაპარი)



ნასადილევს დიასახლისი სუფრას აღაგებდა და თან ბუზღუნებდა, — ამდენ საქმეს როგორ გავსწვდე, ხელს არავინ მიწყობს, ლამის არის წელში გაეწყდეთ!

წვრილინიჩქიანმა მწვევარმა მალიამ ვერ მოითმინა და სამხარისათვის კეცის შენახულ მჭადს პირი დაავლო; დიასახლისის წყევა-კრულვა ტყუილა ჩაივლიდა, რომ პატარა გოგილა ბიჭს მარდად წაენდო არ მიერთყვია, რამაც ძალღს ზურგის აუწვა და მჭადიც გაავღებინა. აწკმუტუნებული მალია ერთი-ორი გადაბტა, ღობის ძირში მიწვა, ფეხი ფეხზე გადაიდვა და, თუმცა შიმშილით კუჭი ეწვოდა, თვლევს დაიწყო.

მამალი შუა ეზოში მდკომ ურმის ძარზე შემდგარიყო და ყიოდა და ყიოდა,

ბეგრი უძახა ხის ჩრდილში მოსასვენებლად მიწოლილმა ოჯახის მამასახლისმა — „აქში, მგლის არჩივო“, მაგრამ არაფერმა უშველა, არაფერმა გაქრა, და მოთმინებიდან გამოსულმა კენჭი უშიზნა და შიგ ფერდში მიარტყა.

მამალმა ძარიდან ჩამოხტომა იკადრა, კორკოცით ღობის ძირს მიაშურა და, შეურაცხყოფით გულდამწვარი, აძაოებაზე ფიქრს მიეცა. როცა იქვე მალია დაინახა, აღშფოთებით უთხრა:

— დახე ამ ნამუსაყრილებს, სიმღერასაც კი მიშლიან...

მწვევარმა ზანტად მიიხედ-მოიხედა, მაგრამ მამალმა ამ მიმობრაშიაც თანაგრძნობა ამოიკითხა.

— აი შენც... ცხენის ფლოქვის ოდენა ეზოში ნაგაზობასაც ეწვევ, მეძებრობასაც და მწვევარი ხომ ხარ და ხარ... და ვინ არის დამფასებელი?!

თანხმობის ნიშნად მწვევარმა პირი დაალო და გარძელი წითელი ენა გადმოავლო.

—.. გშია და გწყურია, — სად არის სამართალი?!

მწვევარს შიმშილმა უფრო მოუჭირა და ენაც უფრო აუწყლიანდა.

— წავიდეთ, ქვეყანაზე უკეთესს როგორ ვერაფერს ვნახავო?

— მწვევარი უხმოდ წამოდგა და ზანტად გაჰყვა.

— თვალი გეჭიროს, იქნებ, ერთი მეგობარი კიდევ ვიშოვოთო, — გამოესაუბრა მამალი მწვევარს.

— მწვევარმა გულგრილად ოდნავ მიიხედ-მოიხედა და განაგრძო გზა.

მწვევრებს არც ყეფა და არც მუსაიფი უყვართ.

იარეს, იარეს და ერთ მელას თავს წააწყდნენ.

მწვევარი მელას ეცა — უნდოდა შეეჭამა.

მელამ — რალას იზამდა — ეშმაკობას მიჰყო ხელი: — მაცალეთო, შეევედრა ძალღს, მამალთან ერთი სიტყვა მათქმევიწ და მერე შეშქამეო.

მამალმა არ დააყოვნა და თვითონ ჰკითხა:

— ჩემთან რა მეგობრობა გაქვს, რომ სალაპარაკოდ მიწვევო?

მელამ უპასუხა:

— ხომ გახსოვს, საქათმურიდან რომ წიწროები მიჰყავდათ მელოებს და მერე კი მიატოვეს... შენ მაშინ პატარა ყვინჩილა იყავი, მარა ისე ლამაზი, რომ დაგინახე, შემიყვარდი... სხვა მელოებიც დავაჯერე და ყველამ გადავტყვით თქვენ საბუღარში შემოპარე.

— ტყუილს ამბობ, მგონი, — ოდნავ შეედავა მამალი.





— განა ტყუილს ვამბობ, რომ ლამაზი იყავი, ოქროსბიბილოვანი, ძლიერი და ხმა ბულბულს მიგივავდაო.

ქებამ მოხიბლა მამალი.

— ეს კი მახსოვსო, — შეყოყმანდა მამალი, — მარა მერე რაო?

— ახლოც ისეთი ძლიერი ხარ, რომ კაცი როგორც კი შეგხედავს, სასოება მოუვა... აი მეც შენი მეგობრობა მომინდა და, ხომ იცი, გამოვადგები, ოღონდ ძაღლს ნუ შეაქმევინებ ჩემს თავს და დამემოყვრო.

ვერ გაუძლო ამდენ ქებას მამალმა და ძაღლს უთხრა:

— მოდი, მეგობრად ავიყვანოთ, თუ, რამე გაბედა; აგერ არ ვართო!

ძაღლი ერთხანს უარზე იყო, მარა რას იზამდა: ხათრი ვერ გაუტეხა მეგობარ მამალს.

— რკოდე, მელეები განთქმული ვშაქები არიან და, თუ რამე გვენოს, ჩემი ბრალი არ იყოსო, — მაინც დაუმატა ძაღლმა!

შეკრეს ძაღლმა, მამალმა და მელამ მულმუვი მეგობრობის პირობა და დაწყეს ერთად ცხოვრება.

სანამ ზაფხული იყო, ძაღლი ნანადირევს ბევრს შოულობდა, და ეშაქი მელიაც ტკბილ განცხრომაში ბრძანდებოდა.

მაგრამ მოვიდა შემოდგომა, მას მოჰყვა ზამთარი... ნადირი სოროში შექვრა, და საწყალი ძაღლიც და მელაც ხშირად მთელი დღე ენაგადმოკარდნილი დახეტიალობდნენ თოვლქაპაში, რომ რამე ეშოვნათ.

ერთხელ მელას ორი დღე არაფერი ეჭმა, ძაღლიც მშვიერი იწვა ქონში. მელამ შეაცმაკურა კუდი და უთხრა ძაღლს.

— მოდი, ერთი, შორს წავიდეთ ხელო დილაადრიან და საღამომდე ნუ დაგმარუნებთ, ან შენ იშოვი რამეს და ან შურ.

— კარგიო, — უპასუხა ძაღლმა

— შე კი რა ვენაო? — იკითხა მამალმა.

— შენ ნუ გეშინია, აგერ ტყეში ბელელია, და შენი გამოსაძლომი როგორ არაფერი იქნებაო?! — დაამშვიდა მელამ. მე თვითონ ვაგაძღვებით და ვაჩვენებთო: დილაზე მელას მოთმინება აღარ ჰყოფნდა — ხანდახან ძაღლს აჩქარებდა, ხან მამალს.

ძაღლს რალაცა არ მოსწონდა მელიას საქციელი — ძაღლი ხომ გულთმისანია. წასვლით მაინც წავიდნენ ერთად. ცოტა რომ გაიარეს, მელა შეჩერდა და თქვა:

— შენ, ჩემო მალია, ასე ვაქვს გზა და ჩვენ კი აქეთო, — და შეტრიალდა. მამალიც მას გაჰყვა.

ძაღლმა იფიქრა — იქეთ რამდენჯერ გამოვილია, მარა არც ბელელი მინახავს, არც კაცის კვალი შექმინებია — ტყვრია და ბურული, სიმინდს რომელი სულელი შეიტანდა იქ შესანახადო, და რაც ძაღლი და ღონე ჰქონდა, თავის მეგობარ მამლისაკენ გაიქცა.. მაგრამ კვალი ისე აღვილიდაც ვეღარ ნახა — მწვეარი ხომ მეძებარი არ არის.

ამ დროს მელია და მამალი ერთად მიდიოდნენ.

მელა სულ უფრო და უფრო ეკვროდა და ეხახუნებოდა მამალს.

— რას მეკვრები ასე?

— მიყვარხარ, ჩემო ოქროსბიბილოვანო — ტუჩების ლოკვით ეუხუნებოდა მელია. გავიაროთ, გავიაროთ ჩქარა, აი, ვეგრ რომ გადახლართული ნარეკალია, სწორედ იმაშია შენი ბელელიც და ჩემი ნეტარებაც.

— გაიწიე იქეთ! ჯვარობდა მამალი

— რას წყრები, გენაცვალე, ჯერ აღერსით დამატკებ, — თრთოლვით ამბობდა მელია და მსუხავ ენას ხშირ-ხშირად ავლებდა კისერში.

— ყუ... უნდოდა მამალს დაეძახნა, მაგრამ მელიამ მოუჭირა პირი.

ერთი წუთიც კიდევ მოიცა, ერთი ნა-  
ბიჯი კიდევ გადამადგმევინე, — სრულიად  
ცახცახებდა მელია და თან მიათრევდა  
მამალს.

აქ უბედურება დატრიალდა, ვილაცამ  
მელას ბასრი კბილები გაუვლო ყელში,  
გადააბრუნა... ოდნავ დაქრილი, მაგრამ  
შიშისაგან სულთმოძრავი მამალი გააგ-  
დებინა პირიდან.. სიბრაზისაგან დასისხ-  
ლიანებული თვალები ძაღლის მიერ გაქცე-  
ულ მელას საუკუნო სამახსოვროდ გააჰყა.

კოტა ხნის შემდეგ მოსულიერებულ მამალს ძაღლი ყვედრებით ეუბნებოდა:

— ღვთის წინაშე, შესაცოდებელი კი არა ხარ, ჩემი მეგობარი რომ არ იყო, არ დამიჯერე და ხომ კინაღამ წუთისოფელს გამოგასალმა!

მამალი, რომელიც ყოველთვის დიდ ქუეას ჩემობდა, არც აქ გამოტყდა და თქვა:

— მელათა და ქათამთა შორის მეგობრობა უზნა დამქარდეს და დამყარდება კიდევც.



— \*სულელი ხარ... შენმა უბედურება-  
მაც ვერ მოგიყვანა გონს.. მიგატოვებდი,  
რომ ჩვენ საუკუნო უნებური კავშირი არ  
გვეკონდეს შეკრული... ესლა კი შინ წა-  
ვიდეთ, საიდანაც წამოვედით... შეძახილი  
და შეყვირება სჯობია იქ, ვიდრე აქ მე-  
ლიებს შორის ხიფათის მოლოდინი.

მამალი ვითომ უარზე იყო, მაგრამ ნელ-  
ნელა თან მიჰყვებოდა მეგობარ მწევარს  
და ქიშკართან მისული პირველი მიესალ-  
მა ნაცნობ მიდამოს დაუსრულებელი ყი-  
ლიყოთი.

## იყო და აკა იყო რა ლევ. მიტრეველი

ზღაპარს რომ ვახსენებ, თვალწინ მეშ-  
ლება ჩემი ბავშობა, როგორც გაზაფხუ-  
ლის პირზე ფერად ფერადი აყვავებული  
ხეხილის ბალი.

ზღაპარი იყო ჩემი ბავშობის უღვეველი  
სომდარე, ჩემი ბავშობის უქნობი სი-  
ლამაზე.

მაინც რათ მიყვარდა ისე ძლიერ ზღაპ-  
რები ჩემ ბავშობაში?

ამის პასუხს ახლა ვეძებ და ძლივას  
ვხვდები:

ზღაპრებში ვეცნობოდი შეუპოვარ გმი-  
რებს, გაჭირებული ხალხისათვის რომ  
ებრძოდნენ გველეშაპებს, დევებს. მეფეებს  
და მტარვალებს, და მეც მენატრებო-  
და ვყოფილიყავ ასეთი გმირი. ზღაპრებ-  
ში ვხედავდი აყვავებულ სახელმწიფოს  
უხვი ქირხახულით, მდიდარი ქალაქებით,  
თვალის მომპყრელი სასახლეებით, კმაყო-

ფილი ხალხით, — და მეც მენატრებოდა  
ვყოფილიყავ ასეთი ბედნიერი ქვეყნის  
შვილი.

ზღაპრებში ვეცნობოდი ვაჟკაცებისა  
და რაინდებისათვის თავგამოსადებ მზეთ-  
უნახავეებს, რომელთაც გარს ევლებოდ-  
ნენ მიუვალი ციხე-კოშკები — და მეც მე-  
ნატრებოდა იმათა ხილვა.

ზღაპრებში მოგვითხრობდნენ, ფრთოსა-  
ნი რაშებით ან დაუღალავი ფასკუნჯების  
გამარჯვებით როგორ დაქროდნენ მაძიე-  
ბელნი ცხრამთას იქით, სახელმწიფოდან  
სახელმწიფოში, ქვეყნიდან ქვეყანაში — და  
მეც მენატრებოდა ასეთივე ქოლვა ცხრა-  
მთას იქით, ახლ ქვეყნებში. ზღაპრებში მე-  
სმოდა მიჯაჭვული ამირანის გოდება.

და მეც მენატრებოდა მრესულიყავ ამ  
შებორკილ ამირთან, დამეწყვიტა მისი  
ჯაქვები, მაგრამ გზისთვის ვერ მიმეგნო,  
არც ვიცოდი ვისთვის შეკითხა.

აქამდისაც არ ვიცი, ზღაპარი ჩემთვის ფრთები იყო, ნანინა, თუ საზრდო რამ მოუწყინარა.

ოჰ! ზღაპრებით დამთვრალს რა ტკბილად დამძინებია ხოლმე ჩემ ლარიბ მუთაქაზე!

მასუენა რამდენი დრო გასულა! მაგრამ ახლაც, კარგ სინამდვილეს კარგი ზღაპრები მაინც ძლიერ ფრთებად გამოვსხმის ბავშვს, რითაც უფრო ალამაზებს მის ცხოვრებას და ამდიდრებს იმის ოცნებას, იმის ნატვრას.



# დღეპარი მათხოვარი

ბ. ლომთათიძე

(იგავი)

ერთი მდიდარი კაცი იყო. აუარება ქონება ჰქონდა: ბანკში ფული, მამულები, ტყეები, მინდვრები, ბაღები, აგარაკები, ზღვაზე გეზები. ამ მდიდარ კაცს ორი ფიზიკური ნაკლოვანებით სიცოცხლე გამწარებული ჰქონდა: მას არა ჰქონდა მარჯვენა ფეხი და მარცხენა თვალი. ფეხის ალაგას ხის ოპბოხი!) ჰქონდა, თვალის ალაგას — მრგვალი მინა. ერთ დღეს ამ მდიდართან ერთი მათხოვარი მივიდა და უთხრა:

— თქვენი სიკეთის ამბავი ვაიგვლატაკი ვარ, არაფერი მაბაღია. დიდ ხანია უმუშევრად ვარ. ჩემი ცილი და ვადმყოფდა. წვრილშვილები ნათესავეებში

იზრდებიან. ჰქენით სიკეთე: მოიღეთ მოწყალება.

მდიდარმა მათხოვარი ცალი თვალით აათვალ-ჩათვალა, მერმე უთხრა:

- გინდა გაგამდიდრო?
- როგორ?
- გინდა ბერი ფული მოგცე?
- ალბათ პირობა რაიმე გაქვთ გუნებაში.

— აი რა გითხრა: მილიონ მანეთს მოგცემ, — შენი მარჯვენა ფეხი მომეცი... მოვიყვან დოსტაქარს, ის შენ ფეხს მოგაცილებს და მე შემეიერთებს. შენ ყავარჯნებით ივლი. გნებას — ოპბოხითაც. ჯიბეში კი მილიონი გექნება. მე კი ისე ვივლი შენი ფეხით, როგორც ახლა შენ...

1) ოპბოხი — ხის ფეხი.



პო... წაქრისთანავე მოგიტელი ოქრო-  
ებს... თანახმა ხარ?

მისხამს ჩემს ცარიელ თვალის ბუდე-  
თანახმა ხარ?

— არასოდეს!  
— ერთი მილიონი მანეთი მოგცე, —  
შენი მარცხენა თვალი მომეცი... ახლავე  
ამოგართმევს დოსტაქარი და მე გადმო-

— არასოდეს!  
— მაშ წადი, შვილო! შენ ჩემზე მდი-  
დარი ყოფილხარ.  
ჯანმრთელი ლარიბი სიამაყით გაშორ-  
და მდიდარ ხეიბარს!).



## ნ ა კ ვ ე ს ე ბ ი

ერთ კაცს ვირი მოჰპარეს, დაღონ-  
და. აღარ იკადრა ზომები მიეღო. გამო-  
ვიდა ხალხში და იყვირა:

— მაგიერ ვირს ვიყიდდი, მაშ უფი-  
როდ ხომ არ დაერჩებოდიო?

— ჩემი ვირის მომპარავს ურჩევნია  
ღამით ისევ მოიყვანოს ვირი და ჩუმაღ-  
ვე ეზოში შემომიკდოს, თორემ... თორემ  
იცის, რას ვიზამო?

II  
მძიმე ავადმყოფობის გადატანის შემ-  
დეგ აკაკი წერეთელს შეხვდა ინტინერი  
ჯორჯაძე და მიუღოცა:

ქურდი შეშინდა, წაიყვანა ვირი და  
იმავე ღამით პატრონს ეზოში შეუგდო.  
მეორე დილას ქურდი შეხვდა ვირის  
პატრონს და ჰკითხა:

— ძალიან მიხარია, პოეტო აკაკო, რომ  
მორჩი, კარგად ბრძანდები, რომ დაბ-  
რუნდი „იმ ქვეყნიდანო“.

— რას იზამდი, ვირი რომ არ მოეყ-  
ვანათო?

— მაშ რა გეგონა! შენი გაყვებუ-  
ლი გზა რომ ყოფილიყო, დღესაც „იქ“  
ვიქნებოდიო.

## გ ა შ მ ო ტ ა ნ ა

### ზ. თაბუჯაშვილი

ლამაზია, მომხიბვლელი  
(თუმცა რა დაღვეს უკეთეს<sup>1)</sup>),  
ტყეში დადის და ხეების  
ჯანს ანალიზს უკეთებს.

ავადმყოფებს უკაკუნებს  
და ყრუ ხმებს უკვირდება.  
სად ისწავლა ექიმობა?  
სწორედ გაგიკვირდება!

მავნებლების მონახვაში  
სწორედ უფებარია,  
ვერ წაუვლინ. თუმცა მტრები  
მმალული არიან.

დიაგნოზის დასმა იცის  
საოცარი სიზუსტით,  
და არ კვდება შრიალა ხე  
„შიგნეულის“ სისუსტით!).

<sup>1)</sup> ხეიბარი—სახიჩარი, შრომისუნარდაკარგული.

<sup>2)</sup> სთხოვეთ ვინმეს, რომ აგისხნან  
თქვენთვის უცხო სიტყვები,  
და ვინ არის ეს „იქიმი“,  
მაში, ალბათ, მიხვდებით.

## ე მ ო ტ ა ნ ე

ივ. მაჭავარიანი

ერთმა კაცმა წაღები იყიდა 80 მანეთად და 100 მანეთიანი მისცა.

ნოქარს ხურდა არ ჰქონდა, გავიდა მეზობელთან, დააურდავებინა და მკიდველს მისცა წაღები და 20 მანეთი.

მკიდველი წაედა.

ცოტახანს უკან შემოგარდამეზობელი. — ყალბია თქვენი ასმანეთიანი — უთარა მან გაჰყიდველს.

რათს იხამია ფეხსაცმელის გამკიდველი, ყალბი 100 მანეთიანი გამოართვა და 100 მანეთი მისცა.

სულ რამდენი წააგო ფეხსაცმლის მალაზიამ?

## რ ა მ ნ ე რ ი ე ?

ალ. საჩინოელი

ბტუნია და ლიჯა ფერის,  
მწერი არის ააწაწინა,  
თუმცა მინდვრის მცხოვრებია,  
მაგრამ სახლშიც იცის ბინა.  
იგი არ ჰგავს მუშა-ფუტკარს,  
ზარმაცია და უქნარა;

მთელი ზაფხულ-შემოდგომა  
მხოლოდ მღერის წარაშარა.  
მომავლისთვის არა, ფიქრობს —  
უზრუნველი მომღერალი,  
და ზამთრობით ამიტომაც  
მუდამ რჩება ხახაშვალდი.

№ 6-ში მოთავსებული რეზუსის ახსნა:

ცხოვრება საამური ვახდა.